სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

I ხეივნის ქუჩის დასაწყისი
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 2 948 014
office@gcaa.ge

28 იანვარი 2025

N 05/272

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

თქვენი, 2025 წლის 27 იანვრის №6/3668 წერილის პასუხად, რომელიც ეხება მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 81.10.39.764), პრივატიზების საკითხს, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს რაიმე შენიშვნა არ გააჩნია.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოცემული მიწის ნაკვეთზე, საქართველოს მთავრობის, 2024 წლის 6 მარტის #73 დადგენილების - „აეროდრომისა და ვერტოდრომის დაცვის არის დადგენისა და ამ არეში საავიაციო დაბრკოლების შემქმნელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის, აგრეთვე აღნიშნული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის, შეზღუდვისა და ნიშანდების წესი“-ს 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მიწის დონიდან 15 მეტრზე მაღალი სიმაღლის ობიექტის განთავსება საჭიროა შეთანხმებულ იქნას სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან, რა დროსაც წარმოსადგენია https://gcaa.ge/aerodrome-safeguarding/ ვებ გვერდზე მოცემული ინფორმაცია.

ასევე, გაცნობებთ, რომ შენობა-ნაგებობების განთავსებისას გათვალისწინებული იქნება ვაზიანის აეროდრომის სამომავლო დაცვის არეს მოთხოვნები.

პატივისცემით,

გივი დავითაშვილი

დირექტორი

ხელმძღვანელობა

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE